ბამ შეცვალა ძველი ტრადიციები და დაიწყო წერა მარცხნიდან მარჯვნივ. ამას უბრალო ახსნა აქვს: მემარჯვენისათვის წერა მარცხნიდან მარჯვნივ გაცილებით ადვილია, ვიდრე – მარჯვნიდან მარცხნივ. მარცხნიდან წერისას მემარჯვენეს ხელის მტევანი არ ეფარება ახალდაწერილ ტექსტს, მტევანი მუდამ სუფთა ფურცელზე მისრიალებს, რის გამოც არც ხელი ისვრება, არც ხელნაწერი. შეიძლება ითქვას, რომ მემარჯვენისათვის მარცხნიდან მარჯვნივ წერა გაცილებით მოსახერხებელია, ვიდრე პირიქით. შესაბამისად, ცაციებისთვის წერა გაცილებით მოსახერხებელია მარჯვნიდან მარცხნივ. აქედან გამომდინარე, ჩვენი პლანეტის სტუმრები, რომლებმაც ასწავლეს ადამიანებს წერა მარჯვნიდან მარცხნივ, შესაძლოა ყოფილიყვნენ ცაციები... როგორც ვიცით, ეგვიპტელები დამწერლობის მასწავლებლებს, „ციდან მოსულ ღვთაებებს“, უწოდებდნენ. ეგვიპტურ ობელისკებსა და პაპირუსებზე აღნიშნულ „ღვთაებათა“, გამოსახულებები დღემდეა შემორჩენილი. №41 სურათზე ჩვენთვის მეტად საინტერესო გარემოება ფიქსირდება. სურათზე გამოსახულ იმ „ღვთაებებს“ რომელთაც ცხოველთა, ფრინველთა და მწერთა მსგავსი თავები (თუ ნიღბები?...) აქვთ, მეტად მოზრდილი ჯოხები უჭირავთ სწორედ მარცხენა ხელში. თუკი მოზრდილი ჯოხის ჭერა მარცხენა ხელში უადვილდებოდათ, არ არის გამორიცხული, რომ კალამიც მარცხენაში მოეხელთებინათ, რა შემთხვევაშიც წერა მარჯვნიდან მარცხნივ გაცილებით გაუადვილდებოდათ. აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობაა იმისა, რომ სტუმრები ცაციები ყოფილიყვნენ.

აღსანიშნავია, რომ იმავე სურათზე გამოსახულ ეგვიპტურ ღვთაებებს, ადამიანის ჩვეულებრივი სახეების მქონეთ, იმავე ტიპის ჯოხები მარჯვენა ხელში უჭირავთ... მოგეხსენებათ, ეგვიპტელებს „ღვთაების“ რანგში არა მარტო ციდან ჩამოსულები აჰყავდათ, არამედ ზოგიერთი მიწიერი ადამიანიც, მისი განსაკუთრებული ნიჭის გამო, მაგალითად, ეველასათვის ცნობილია ინხოტეპი, რომელიც ეგვიპტელებმა პტოლომეების ეპოქაში, მედიცინაში მიღწეული წარმატებების გამო, მკურნალობის ღვთაების რანგში აიყვანეს.

იყვნენ თუ არა „სტუმრები“ ცაციები?... ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხი ის არის, რომ იეროგლიფური დამწერლობა და პიქტოგრაფიული ნახატები, ორივე, მარჯვნიდან მარცხნივ არის შესრულებული, რაც „სტუმართა“ და ეგვიპტელთა „მასწავლებლების“ იდენტურობას ადასტურებს.

Earth had changed old traditions and began to write from the left to the right. It may be interpreted very simply – those who are right-handed easier write from the left to the right than from the right to the left. When writing from the left to the right the hand of the right-handed person does not cover the written text and the palm slides along a clear sheet of paper, whereupon neither the hand nor the record gets dirty. We may say that for a right-handed man the writing from the left to the right is more convenient than vice versa. However, for a left-handed man the writing from the right to the left is more convenient. Therefore, the visitors to our planet who had taught the earth dwellers to write from the right to the left could be left-handed. As we know those creatures who had taught written language to the ancient Egyptians were called “the deities who came down from the heaven”. The pictures of these “deities” depicted on the Egyptian obelisks and papyrus have remained until present days. Fig. 41 shows the very interesting fact. The picture depicts the “deities” who have the heads (or masks?...) like animals, birds and insects and hold big sticks in their left hand. If those creatures preferred to keep big sticks in their left hands, they, probably, preferred to keep a pen by the left hand as well and wrote from the right to the left. Therefore, the great probability is that the visitors were left-handed.

Noteworthy is that the Egyptian deities represented on the same picture are depicted with the ordinary human faces and hold the same sticks in right hands... As it is known the ancient Egyptians attributed to the deities not only those who had come from the heaven but some earthy creatures due to their exclusive abilities. For example, Inhotep was elevated by the Egyptians to the rank of the healer-deity due to his prominent achievements in the medicine in the Ptolemy's epoch.

Were the visitors left-handed or not?... The more significant matter is that the hieroglyphic written language and pictographic drawings were made from the right to the left that proves the identity of the visitors and teachers of the Egyptians.

სამოთხე

„Samotkhe” (Three-Four)

ბიბლიაში ვკითხულობთ - „ედემის ბაღი“, „ცათა სასუფეველი“, საიდან დაიბადა სიტყვა „სამოთხე“, რომელიც ბიბლიური სიტყვის ერთგვარ სინონიმად იქცა? ხშირად გსმენიათ „სამოთხის ბაღი“, „სამოთხე ცაში“...

განვიხილოთ ქვა, რომელიც საქართველოს მთიანეთშია, სურ.№ 42. იგი საინტერესო ინფორმაციას იტევს ერთ-ერთი შორეული პლანეტის შესახებ, რომელიც ჩვენგან მესუთე ვარსკვლავთან მდებარეობს. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს დედამიწის სტუმრების საცხოვრებელი პლანეტა.

სურათზე, მარჯვნივ, ვხედავთ ნაცნობ ნიშანს, ხუთ თითს, ნიშნად იმისა, რომ ისინი ჩვენგან მესუთე ვარსკვლავთან მდებარეობენ. ქვაზე მარცხნივ მდებარე ფიგურა, ჩემი აზრით, მათი საცხოვრებელი პლანეტის კონტურის გამოსახულებაა. ამ აზრს შემდეგი არგუმენტები ამყარებს: აღნიშნუ-

We read in the Bible – „The Eden’s Garden”, „The Promised Heaven”... From where has the word „samotkhe” („Paradise” in Georgian) come which became the synonym of the Biblical word. („sam-i” means „three” in Georgian and „otkh-i” – „four”). We often hear this word in the idioms: „samotkhis garden” (The Garden of Paradise), „samotkhe” in the heaven (The Paradise in the Heaven)...

Let’s examine the following stone discovered in the highlands of Georgia (Fig. 42). It provides the interesting information about a remote planet, which is situated at the fifth star from the Earth. This should be the planet of residence of the visitors to the Earth.




სურ. (Fig.) 42

საქართველო (თუშეთი, ხევსურეთი);

Georgia (Tusheti, Khevsureti)

ლი გამოსახულება არ წარმოადგენს იდეალურ სფეროს, რითაც ის დედამიწის ფორმას წააგავს. პოლუსებზე ის, დედამიწის მსგავსად, შეჭყლექილია, ხოლო ეკვატორზე – გაბერილი. ეს მბრუნავი სხეულის შესატყვისი ფორმაა, ვინაიდან, ფიზიკური კანონების მიხედვით, ბრუნვისას ვითარდება ცენტრიდანული ძალები, რომელიც ყველაზე დიდ მნიშვნელობას იღებს ბრუნვის ღერძის შუაგულის გასწვრივ, ანუ ე.წ. ეკვატორზე. სადაც ხდება მასის გამობერვა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფორმის სხეულის ბრუნვის ღერძის მდებარეობა შეიძლება ვიგულისხმოთ შეჭყლექილ მიდამოებში, ე.წ. პოლუსებს შორის, სურ. №43. ასეთ შემთხვევაში ღერძი დახრილის შთაბეჭდილებას ტოვებს. პლანეტის დახრილი ღერძი, ვარსკვლავის გარშემო ბრუნვისას, წელიწადის დროების არსებობას განაპირობებს. აღნიშნული ქვის ცენტრში საკმაოდ საინტერესო ინფორმაციის დამტვევი სამი ფიგურაა წარმოდგენილი. პირველი მათგანი (ზედა) წყლის ლივლივის ფორმას იმეორებს –



სურ. 43 ბრუნვის ღერძი
Fig. 43 Axis of rotation

ჩემი აზრით, ისინი გვთავაზობენ ინფორმაციას აღნიშნულ პლანეტაზე არსებული წყლის თაობაზე. მეორე ნახაზი კიდევ უფრო ამყარებს ამ აზრს –



როგორც ვხედავთ, აქ წყლის ლივლივის ფორმის ოთხი ხაზი გამოდის ცენტრიდან. ეგვიპტურ იეროგლიფებში (რომელიც, ჩემი აზრით, არის აღნიშნული პიქტოგრამების შემკვიდრე), ცენტრიდან გახაზულ ხაზებს რამდენიმე მნიშვნელობა ენიჭება, ერთ-ერთის მიხედვით, ამ ტიპის ფიგურა „თვლას“, ნიშნავს. იხ. ADOLF ERMAN¹. წყლის ოთხი ხაზი, ვფიქრობ, მათს პლანეტაზე ოთხი ოკეანის არსებობის ნიშანია, ხოლო საპირისპიროდ იმისა, რომ წყალი დაგრეხილი ხაზით გამოხატეს, მიწა სწორი ხაზით შეიძლებოდა გამოეხატათ, რასაც მესამე ფიგურაში ვაწყდებით. აქ ცენტრიდან გამომავალი სამი ხაზია. ლოგიკურია ამ ფიგურის ნაცვლად კონტინენტების რაოდენობა ვიგულისხმოთ, ვინაიდან, პლან-

On the Figure, to the right we can see the familiar sign, five fingers, which show that they are situated at the fifth star from us. To the left on the stone we can see a figure, which, in my opinion, outlines the planet of their residence. This opinion is based on the following arguments: this picture does not show the ideal circle like the shape of the Earth. On its poles this planet is flattened like the Earth but bulging on the equator. It has the shape of a turning body because according to the

physics laws the centrifugal forces which develop during the revolution have their greatest effect round the core of the rotations axis, i.e. on the so called equator, where the mass is bulging. Therefore, we may assume that the axis of rotation of the body of such shape is situated in the flattened areas, between the so called poles (Fig. 43). In such cases the axis gives the impression of the inclined one. The inclined axis of the planet within its revolution round the star evidences the existence of the seasons of the year. In the center of the are very interesting the existence of three figures. One of them (the upper one) repeats the shape of water wave - ~ In my opinion they provide the information about the water existing in this planet. The second drawing supports this opinion even more - X

As we see here four lines having the shape of water wave originate from the center. In the Egyptian hieroglyphs (which, in my opinion, succeed these pictograms) the lines originating from the center have several meanings. According to one of them, the figure of such kind means „count” (see Adolph Erman¹). Four lines of water should express the existence of four oceans in their planet and contrary to the water pictured by curved lines, the land could be depicted by a straight line as we see in the third figure. Here are presented three

ეტის დახასიათებისას, ოკეანეების რაოდენობის გვერდით, ყოველთვის კონტინენტების რაოდენობა სახელდება Y

მაშ ასე, მათს პლანეტაზე არსებობს ყველა პირობა სიცოცხლისათვის. კერძოდ, პლანეტის შეჭყლეთილი პოლუსები და გაბერილი ეკვატორი მის ბრუნვაზე მიგვითითებს ცენტრალური ღერძის გარშემო, რაც „დღისა და ღამის“ არსებობას განაპირობებს. დახრილი ცენტრალური ღერძის მქონე პლანეტა, ვარსკვლავის გარშემო ბრუნვასთან ერთად, წელიწადის დროების არსებობას მიგვითითებს. პლანეტაზე წყლის არსებობა ატმოსფეროს არსებობას განაპირობებს, ყოველივე აღნიშნული კი ამ პლანეტაზე სიცოცხლის არსებობას ადასტურებს. ქვის ეს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია როგორც ასტრონომიული მეცნიერებისთვის, ასევე, ენათმეცნიერების დარგისთვის, კერძოდ, ყოველთვის მაინტერესებდა სიტყვაში, „ცაში სამ-ოთხ-ე“, რატომ იყო ნახმარი ორი ციფრი „სამი და ოთხი... ჩვენ ვიპოვეთ ქვა, რომელზეც მოგვითხრობენ „ცაში“ არსებულ პლანეტაზე, სადაც არის „სამი“ კონტინენტი და „ოთხი“, ოკეანე. შემოკლებით „ცაში სამი ოთხი“... საინტერესოა, ამ ქვაზე არსებული ინფორმაცია ხომ არ გახდა სიტყვა „სამოთხის“ დაბადების მიზეზი? ეს სიტყვა აშკარად ამ ორი ციფრის სახელის შეკავშირებითაა წარმოშობილი. იგი შერწყმულია, გაიგივებულია რაღაც შორეულთან, ციურთან, არაამ-ქვეყნიურთან...

lines originated from the center. It is quite logic to think that those three lines show the number of three continents because for description of a planet next to the depiction of oceans should be the depiction of continents Y

Therefore, on their planet there were all conditions for living. Namely, the flattened poles and bulging equator of the planet indicates revolution of this planet round its central axis and evidences existence of „day and night“. The planet having the inclined central axis along with the rotation round the star indicates the existence of the seasons of the year. The existence of water conditions existence of air in the planet and all this proves the existence of the life in this planet. This information given on the stone is very important both for astronomers and for linguists. It was always interesting for me why in the idioms „the paradise („samotkhe“) on the heaven“ are used two figures „three and four“. We have found out the stone which provides information about the planet in the „heaven“ where there are „three“ continents and „four“ oceans, or „three-four in the heaven“ in brief... I wonder if the information on this stone became the reason of origination of the word „samotkhe“? It is obvious that this word is related with these two figures. It is associated and assimilated with some remote, heavenly, weird thing...

ტრაექტორია

Trajectories

ადამიანის ცოდნა პირობითია. დრო განაპირობებს და ცვლის ადამიანის ცოდნას. გარკვეული პერიოდის მანძილზე მეცნიერებაში გაბატონებული იყო ცოდნა იმის შესახებ, რომ მზის სისტემაში არსებობდა ცხრა პლანეტა. გავიდა დრო, კოსმოსური სააგენტოები აცხადებენ, რომ დაფიქსირებულია მე-10 პლანეტა, რომელიც მზის სისტემას მიეკუთვნება. რა შეიძლება ამ ფაქტს ვუწოდოთ – აღმოჩენა თუ აღნიშნული პლანეტის დაფიქსირება? თუ გადავხედავთ შუმერების ცივილიზაციის მიერ დატოვებულ ინფორმაციებს, ამ პლანეტის არსებობა ცნობილი იყო რამდენიმე ათასი წლის წინათ.

აღნიშნულ პლანეტას შუმერები რიგით მე-12-დ თვლიდნენ (რადგან ისინი სათვალავში მზესა და მთვარესაც ანგარიშობდნენ), მათი ცოდნის მიხედვით – აღნიშნული პლანეტა დედამიწაზე ოთხჯერ უფრო დიდია, მას აქვს ელიფსური ფორმის ორბიტა (სურ. №44), მზესთან სრულ შემობრუნებას კი 3600 წელს უნდება.

შუმერების მიერ დატოვებულ ინფორმაციას უნივერსალური ხელსაწყოებით შეიარაღებული თანამედროვე ცივილიზაცია სულ ცოტა ხნის წინათ აფიქსირებს და ადასტურებს კიდევ მის სიზუსტეს. შუმერების ცოდნა უტყუარი გამოდგა... ასეთ შემთხვევაში მე-10 პლანეტის დაფიქსირება


The human knowledge is conditional. The time passes and changes the man's mind. For some period the scientists considered that there are nine planets in the Solar System. But the time has passed and now the cosmic agencies declare that they have fixed the tenth planet which is attributed to the Solar System. How can we refer to this fact as to the discovery or as to the fixing of this planet? Based on the information left by the Schumer civilization, the existence of this planet was known some thousands years ago.

The Schumerians counted this planet as the twelfth (they also counted the Sun and the Moon). They thought that this planet was twofold larger than the Earth and had the elliptical orbit (Fig. 44) and it required 3600 years for it to turn to the Sun.

The information left by the Schumerians was fixed by the contemporary civilization equipped with the universal instruments some time ago, which proved its correctness. The knowledge of the Schumerians was found a true one... In this case the fixing of the 10th planet today is the restoration of the forgotten knowledge. As we see this or that time conditions acquiring, forgetting and restoration of the knowledge. Therefore, the fact that the Solar System included 9 planets was true

სურ. 44

Fig. 44



დღეს გახლავთ დავიწყებული ცოდნის აღდგენა. როგორც ვხედავთ, ესა თუ ის დრო განაპირობებს ცოდნის შეძენას, დავიწყებასა და კვლავ აღდგენას. აქედან გამომდინარე, ის, რომ ჩვენს მზის სისტემაში 9 პლანეტა არსებობდა, გარკვეული დროის მანძილზე იყო ჭეშმარიტება... უფრო სწორად, გვეგონა, რომ იყო ჭეშმარიტება. არავინ იცის 10 პლანეტა საბოლოო ციფრია იმ პლანეტებისა, რომლებიც პერიოდულად მზეს უახლოვდება და განეშორება მას, თუ ეს მხოლოდ ამ დროის „ჭეშმარიტებაა“?... საოცარია სამყარო თავისი სიახლეებითა თუ დავიწყებული სიძველეებით, არავინ ვიცით, რას შემოგვთავაზებს იგი ხვალ...

ყოველ შემთხვევაში, გასაკვირი აღარ იქნება, თუ გამოჩნდება მე-11 ან მე-12 პლანეტები, ან სხვადასხვა ტიპის დღემდე უცნობი ციური სხეულები, რომლებიც პერიოდულად უახლოვდებიან და განეშორებიან მზის სისტემას. საინტერესოა, საიდან ჰქონდათ შუმერებს იმაზე მეტი ცოდნა კოსმოსზე, ვიდრე ტექნიკური პროგრესის ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს?... ამ პროგრესის ის სახე, რა სახესაც დღევანდელი ადამიანი ავითარებს და მოიპოვებს ინფორმაციებს კოსმოსზე, შუმერებს ნამდვილად არ ჰქონდათ, სწორედ ეს მატებს დასმულ კითხვას სიმძაფრეს. მაშ საიდან აქვთ შუმერებს აღნიშნული კოსმოსური ინფორმაციები?

ჩემი აზრით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების საშუალება არსებობს, მაგალითად, თუ ამ ინფორმაციას „ვიდაც სხვა გადმოცემს“. ვგონებ, სწორედ ასე მოიპოვეს კოსმოსის შესახებ უტყუარი ინფორმაცია შუმერებმა. ამ აზრს შემდეგი ფაქტი ამყარებს: შუმერები მეათე პლანეტის მოახლოებას უკავშირებდნენ უცხო არსებების გამოჩენას დედამიწაზე. სტუმრებს შუმერები ასე მოიხსენიებდნენ: „ისინი, ვინც ციდან ჩამოვიდნენ მიწაზე“. სხვა პლანეტის მკვიდრთა დედამიწაზე სტუმრობა არ ჩაივლიდა უკვალოდ. ჩემი აზრით, შუმერებისა და საერთოდ, ძველი ცივილიზაციების ზედმიწევნითი ცოდნა შორეულ კოსმოსზე სწორედ რომ ერთ-ერთი კვალია, რომელიც მათ დატოვეს დედამიწაზე. ეს ცოდნა არა მარტო ზეპირსიტყვიერებით გადასცეს „სტუმრებმა“ დედამიწის მკვიდრთ, არამედ დაუწერეს კიდევ „პიქტოგრამების“, „იდეოგრამების“, „ლოგოგრამების“, „იერო-

for some period... More exactly we thought that is was the truth. Nobody knows is ten the last number of those planets which periodically come close to the Sun and move away from it, or it is the truth of this time only?.. The world with its new and forgotten old is full of wonders and nobody knows what will it give us tomorrow...

Anyway, we can expect the appearance of the 11th or 12th planets or of other celestial bodies still unknown for us which periodically come close to and move away from the Solar System. It is interesting how could the old Schumerians know about the space more than the people living in the lpoque of the technical progress?.. The fact is that that kind of progress which is developed and by which a contemporary man searches information about the space was not familiar to the Schumerians. This makes the question mentioned above more acute. Where the Schumerians got information from?

In my opinion, such information may be obtained without the contemporary technical facilities in case this information is transmitted by any other. We think the Schumerians had got the true information about the space just in such a way. This idea is backed by the following fact: the Schumerians connected the approach of the tenth planet with the appearance of aliens on the Earth. The Schumerians described the visitors as follows: “Those who came to the Earth from the Heaven”. The visit of inhabitants of other planet to the Earth had not passed in vain. In my opinion, the knowledge of the Schumerians and, in general, the deep knowledge of the ancient civilizations is one of the consequences of the visit of aliens. The visitors not only transferred this knowledge to the earth dwellers but wrote the pictograms, ideograms, logograms, hieroglyphs of it in general in kind of drawings made on the stone.

The mankind still could not find out the rules of reading of the information made on the stones. We are trying to solve this problem in our work. This Chapter is devoted to the explanation of symbols of trajectories of travel of the visitors. To reveal the problem of trajectories of arrival of the visitors we will use the outline of the trajectories

გლიფების” ზოგადად ქვაზე გაკეთებული ნახატების სახით. ქვებზე დატანილი ინფორმაციის ამოკითხვის წესებმა დღემდე არ მოაღწია. სწორედ ამ პრობლემის ამოხსნას გვდილობთ ჩვენს ნაშრომში. წარმოდგენილი თავი ეძღვნება „სტუმრების” მგზავრობის ტრაექტორიების სიმბოლოების ამოცნობას. „სტუმრების” მიმოსვლის ტრაექტორიების ამოცნობაში კარგ საქმეს გაგვიწევს პლანეტების გარშემო მბრუნავი თანამგზავრების ტრაექტორიების მონახაზის გარკვევა. ვიდრე თანამგზავრების ციურ ტრაექტორიებზე ვისაუბრებდეთ, განვიხილოთ მაგალითი მიწაზე. წარმოვიდგინოთ, თქვენ და თქვენი მეგობარი დგახართ ქვიშაზე. თქვენ დაიძარით და გარს შემოუარეთ ერთ ადგილზე მდგარ თქვენს მეგობარს. ამ შემთხვევაში ქვიშაზე დარჩება კვალი, რომელსაც წრის ფორმა ექნება. წარმოვიდგინოთ მეორე მაგალითი – თქვენმა მეგობარმა დაიწყო სიარული, თქვენ კი მას დაედევნეთ—დაემგზავრეთ, ანუ გახდით მისი თანამგზავრი, ამავდროულად, თქვენ მოძრავ მეგობარს გარს უვლით. ამ შემთხვევაში ქვიშაზე თქვენ მიერ დატოვებული კვალი იქნება სპირალის ფორმისა. გადავინაცვლოთ კოსმოსში. ვინაიდან დედამიწა მუდმივად მოძრაობს, ხოლო მთვარე მას გარს უვლის, ამიტომ ამ უკანასკნელის, ანუ მთვარის, ტრაექტორია კოსმოსში სპირალის ფორმისაა. შესაბამისად, სპირალური ფორმისაა ყველა იმ თანამგზავრის ტრაექტორია, რომელიც გარს უვლის მოძრავ პლანეტას. დასაშვებად მიმაჩნია, რომ „სტუმრებს” ესარგებლათ მე-10 პლანეტის დედამიწასთან მოახლოებით (ან სხვა რომელიმე შორსმავალი ციური სხეულით, რომელიც უცნობია დღეისათვის). სტუმრებს შეეძლოთ თავიანთი ხომალდით გასულიყვნენ მე-10 პლანეტის ორბიტაზე, რის შედეგადაც ისინი გახდებოდნენ პლანეტის ხელოვნური თანამგზავრები. შეიძლებოდა, ისინი დამსხდარიყვნენ მე-10 პლანეტის „მთვარეზე”, ანუ მის ბუნებრივ თანამგზავრზე. მე-10 პლანეტას აუცილებლად ეყოლება თანამგზავრი ან თანამგზავრები, ანუ „მთვარეები”, ისევე როგორც სხვა, განსაკუთრებით დიდ პლანეტებს ჰყავთ (მზის სისტემის ცხრა პლანეტის თანამგზავრების ჯამში შვიდ ათეულს აღწევს).

სარგებელი ასეთი სახით შორეულ კოსმოსში მგზავრობისა უზარმაზარია. კერძოდ, მგზა-

of satellites rotating round the planets. Until discussing the spatial trajectories of satellites let's consider the example on the earth. Let's imagine that you and your friend are standing on the sand. You start to move and pass round your friend standing on the spot. In this case on the sand will remain a track of a circular shape. Let's take another example when your friend starts to move and you follow him, or become his satellite and simultaneously you are moving round your friend. In this case the track left by you on the sand will be of spiral shape. Now, let's pass to the space. As the Earth permanently moves and the Moon moves round it, the latter's trajectory in the space is of the spiral shape. Accordingly, the trajectory of all those satellites which move round the moving planets is of spiral shape. We may assume that the visitors took the opportunity when the 10th planet (or any other remote celestial body which is unknown for today) came close to the Earth. The visitors could get the orbit of the 10th planet on their spacecraft whereby it became the artificial satellite of the planet. They could also land on the “moon” of the 10th planet, or on its natural satellite. The 10th planet should without fail have a satellite or satellites, or “moons” as well as other large planets (the total number of satellites of nine planets of the Solar System attains to seventy).

The visitors could take a great benefit from such kind of travel in the space. Namely, they could turn off their spacecraft engine and save fuel for further travel. The landing on the satellite has the second benefit as well, namely, if the visitors did not land on the satellite but take off from the 10th planet they should need one more engine, while taking off the satellite does not require great power as its gravity is small. We wonder if there it is life on the 10th planet? It is hardly to imagine such thing as it is very far from the Sun, the greatest source of energy of life, and should be a cold planet for this reason. May be it represented simply the interstar communication facility, a kind of “space express”.

Let's draw the trajectories of the 10th planet and its satellite. We will outline the spiral trajectory of

ერობისას მათ შეეძლოთ გამოერთოთ ძრავა, რითაც საწვავი დაიზოგებოდა. თანამგზავრზე დაჯდომა მეორე სარგებელსაც შეიცავს, კერძოდ, თუ „სტუმრები“ არ დასხდებოდნენ თანამგზავრზე, არამედ დაეშვებოდნენ თავად მე-10 პლანეტაზე, ამ შემთხვევაში პლანეტიდან კვლავ ასაფრენად მათ კიდევ ერთი ძრავა დასჭირდებოდათ. თანამგზავრიდან აფრენა კი არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რადგან მათ მცირე მიზიდულობის ძალა გააჩნიათ. არის თუ არა სიცოცხლე თავად მე-10 პლანეტაზე? საეჭვოა, ვინაიდან იგი მზეს, ანუ სიცოცხლის ენერგიის უდიდეს წყაროს, ძალიან დიდი მანძილით შორდება, რის გამოც ცივი პლანეტა იქნება და ბუნებაში, შესაძლოა, მხოლოდ ვარსკვლავთაშორისო კომუნიკაციის საშუალებას – ერთგვარ „ციურ ექსპრესს“ წარმოადგენდეს.

დაგზავნოთ მე-10 პლანეტისა და მისი თანამგზავრის ტრანექტორიები. ამოვხაზოთ თანამგზავრის სპირალური ტრანექტორია ორნაირად – გვერდხედშიც და შიგნითადაც, სურ. №45. გვერდხედში დახაზული სპირალური იდენტურია მექსიკის ქვაზე მადლა კუთხეში დახაზული სპირალისა. რაც შეეხება ჩვენ მიერ დახაზული სპირალის შიგნითადაც ნახაზს, იგი ოდნავ განსხვავდება მექსიკის ქვის ცენტრში დახაზულ სპირალის შიგნითადაც. სხვაობა ორი დამატებითი სპირალია. რას

the satellite in two ways – laterally and from inside (Fig. 45). The spiral drawn laterally is identical to the spiral drawn in the upper corner on the Mexican stone. As to the inside drawing of the spiral it slightly differs from the inside drawing of the spiral in the center of the stone. The only difference is two additional spirals. What could they mean?.. Let's imagine that in order to overcome the gravity the spacecraft leave the Earth with the circular movement and thus could overcome the gravity more easily. Let's outline this path of the spacecraft - ☪

Let's imagine that two expeditions visited the Earth and one of these expeditions was from the 5th star and the other – from another, say “x” star. The trajectory of taking off of the second expedition from the Earth will be of the same kind - ☪ After taking off the Earth the spacecrafts land on the satellite of the 10th planet and in such way they travel in the distant space. Let's draw the trajectory of taking off the planet and the trajectory of the tenth planet satellite together (Fig. 46a). I deliberately divide the line in the large spiral into two because travel of two expeditions is possible until some certain stage and after some distance their journeys will diverge for travel to the own

სურ. 45




Fig. 45

- ☉ Sun.
- The 10th planet and its ellipse trajectory.
- Satellite of the 10th planet and its spiral trajectory – the spiral in lateral view; the spiral from within.



შეიძლება აღნიშნავდნენ ისინი?.. წარმოვიდგინოთ, დედამიწიდან მე-10 პლანეტისკენ მადლდება ხომალდი. ცნობილია, რომ დედამიწის მიზიდულობის ძალის დაძლევისთვის, ხომალდი დედამიწას წრიული მოძრაობით ტოვებს, რათა უფრო ადვილად დაძლიოს გრავიტაციის ძალა. ჩავხაზოთ ხომალდის ეს გზა - 6

წარმოვიდგინოთ, რომ დედამიწაზე სტუმრად ორი ექსპედიცია იყო, ერთი მე-5 ვარსკვლავიდან, მეორე - სხვა, ვთქვათ, რომელიმე X ვარსკვლავიდან. მეორე ექსპედიციის დედამიწიდან აფრენის ტრაექტორია იმავე სახის იქნება - 6

დედამიწიდან აფრენის შემდეგ, ხომალდები სხდებიან მე-10 პლანეტის თანამგზავრზე და ასე მიემგზავრებიან შორეულ კოსმოსში. ჩავხაზოთ პლანეტიდან აფრენისა და მათე პლანეტის თანამგზავრის ტრაექტორიები ერთად, სურ. №46 ა. დიდ სპირალში განგებ დავტოტე ხაზი ორად, ვინაიდან ორი ექსპედიციის მგზავრობა ერთად რაღაც ეტაპამდე შესაძლებელი, გარკვეული მანძილის შემდეგ

planet. The line created by us is identical to the drawing of the spiral inside on the Mexican pictogram (Fig. 46b).

Let's assume that the so called "space express", or the 10th planet does not reach the 5th star... It will not be strange if the distant planets existed not only within our Solar System but in the systems of other stars. Let's assume that one of the planets rotating round the 5th star represents one of such long-distance "express" as the 10th planet. Say, the trajectories of these the so called long-distance planets cross each other and at the place of crossing the spacecraft from the satellite of one planet moves to the satellite of another planet (Fig. 47). Let's draw the transfer of the spirals given on the picture to each other from inside (Fig. 48).

Fig. 49a. The picture presents the stone which is found in Georgia. The stone depicts the similar transfer of spirals into each other. The same kind



სურ. 46 ა

Fig. 46 a



სურ. 46 ბ

Fig. 46 b

კი მათი გზები უნდა გაიყოს საკუთარ პლანეტებთან მისასვლელად. ჩვენ მიერ შექმნილი ნახაზი იდენტურია მექსიკურ პიქტოგრამაზე არსებული, სპირალის შიგნედის ნახაზისა, სურ. №46ბ.


დავუშვათ, ე.წ. „ციური ექსპრესი“, ანუ მე-10 პლანეტა არ აღწევს მე-5 ვარსკვლავამდე... არ იქნება გასაკვირი, თუ შორსმავალი პლანეტები არსებობენ არა მარტო ჩვენს მზის სისტემაში, არამედ სხვა ვარსკვლავთა სისტემებშიც. დავუშვათ, მე-5 ვარსკვლავის გარშემო მბრუნავი პლანეტებიდან ერთ-ერთი ისეთსავე შორსმავალ „ექსპრესს“ წარმოადგენს, როგორიცაა ჩვენი მე-10 პლანეტა. ვთქვათ, ამ ორი, ე.წ. შორსმავალი პლანეტების ტრაექტორიები კვეთენ ერთმანეთს, ხოლო შეხვედრის ადგილას ხომალდი ერთი პლანეტის თანამგზავრიდან მეორე პლანეტის თანამგზავრზე ახდენს გადაფრენას, სურ. №47. დავხაზოთ სურა-

of spirals are available on the stone found in Russia (Fig. 49b).

In case of visit of two expeditions to our planet we would deal with the crossing of trajectories of three long-distance planets: first planet is the orbit of our long-distance 10th planet, the second – the orbit of the planet moving to the 5th star and the third – the orbit of the planet moving to the star “x”. Let’s outline the orbits of the long-distance planets together with the orbits of satellites (Fig. 50). Let’s draw these spirals from inside (Fig. 51).

This drawing is similar to the drawing on the stone found in Russia (Fig. 52). The discussion about the expeditions from two various planets will be more possible if we trace the coordinates of the second expedition as well. From this aspect is in-

სურ. (Fig). 47



- ⊙ მზე; (Sun.)
- ⊙ მე-5ვარსკვლავი; (The 5th star)
- პლანეტები; (Planets)
- თანამგზავრები; (Satellites)

თზე მოცემული სპირალების ერთმანეთში გადასვლა შიგნედიდან, სურ. №48.

№49ა. სურათზე წარმოდგენილია საქართველოში მდებარე ქვა, სადაც დახატულია სპირალების ანალოგიური გადასვლა ერთმანეთში. იმავე სახის სპირალები გვხვდება რუსეთში მდებარე ქვაზე, სურ.№49ბ.

ჩვენს პლანეტაზე, ორი ექსპედიციის სტუმრობის შემთხვევაში, სამი შორსმავალი პლანეტის ტრაექტორიების გადაკვეთასთან გვექნებოდა საქმე; პირველი – ეს არის ჩვენი, შორსმავალი მე-10 პლანეტის ორბიტა. მეორე – იქნება მე-5 ვარ-

სურ. (Fig.) 48



სურ. 49 ა

Fig. 49 a




სურ.49 ბ; რუსეთი. კოკადონის საცხოვრებელი კოშკი

Fig. 49 b; Russia. Kokadon dwelling tower

სკვლავისკენ მიმავალი პლანეტის ორბიტა და მესამე – რომელიღაც X ვარსკვლავისკენ მიმავალი პლანეტის ორბიტა. ჩავხაზოთ შორსმავალი პლანეტების ორბიტები, თანამგზავრების ორბიტებთან ერთად, სურ. №50. აღნიშნული სპირალები ჩავხაზოთ შიგნედიდან, სურ. №51 ეს ნახაზი ანალოგიურია რუსეთში მდებარე ქვაზე არსებული ნახაზისა (სურ.№52). ორი სხვადასხვა პლანეტიდან ჩამოსულ ექსპედიციაზე საუბარი უფრო დამაჯერებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მეორე ექსპედიციის კოორდინატებსაც მივაკვლევთ. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში არსებული ორი ქვა, სურ. №53ა, სურ. №53ბ. ორივე ნახატში ქვის, ანუ ნახატის სწორად დასაჯერად გამოყენებულია ცხენოსნის ფიგურა, განსხვავებით მექსიკური ქვისგან, სადაც იგივე ფუნქცია ცხვარმა იკისრა, რაც შესაძლოა მივიჩნიოთ ავტორთა შორის არსებულ ერთ-ერთ სხვაობად... ორმოცდამეცამეტე ა. სურათზე თეფშის მსგავსი ფორმის ფიგურა გვერდხედშია დახატული, ცე-

სურ. (Fig.) 50

- ☉ მზე
- ☉ მე-5 ვარსკვლავი
- ☉ X ვარსკვლავი



სურ. (Fig.) 51 თანამგზავრების ტრაექტორიების შიგნედები

Views from within of satellite trajectories

სურ. (Fig.) 52 რუსეთი. ხასკალინსკის საბრძოლო კოშკი
Russia. Khaskalin fighting tower



სურ. 53 ა

Fig. 53 a

teresting two stones found in Georgia (Fig. 53 a, Fig. 53 b). On both pictures for division of the stone, or the drawing, into two parts, is used the figure of an equestrian unlike the Mexican stone where this function is performed by the figure of a sheep that may be deemed as a difference between the manners of the authors... The figure with the shape like a plate on Fig. 53 (a) is drawn from the side with the flame-shaped strokes. On Fig. 53 (b)



სურ. 53 ბ

Fig. 53 b

ცხლის მსგავსი შტრიხებით ქვევიდან. ორმოცდამეცამეტე ბ. სურათზე თეფშის ფორმის ფიგურა ზედხედიდანაა დახატული, სადაც კიდურა დახრილი ხაზების მეშვეობით, ობიექტი მბრუნავ იერსახეს იღებს. ორივე ქვაზე „ათი თითია“ წარმოდგენილი... ეგებ სწორედ ეს ციფრია მეორე ექსპედიციის ვარსკვლავის კოორდინატის მიმანიშნებელი ?..

კვლავ №52 სურათს დავებრუნდეთ. სპირალების თავზე ოთხი პატარა ნახატი ამოკვეთილი. პირველზე ორი ელიფსი კვეთს ერთმანეთს, რაც ძალიან ჰგავს ჩვენ მიერ დახატული შორსმავალი პლანეტების ელიფსური ტრაექტორიების გადაკვეთას -



მეორე ნახატი ძნელად გასარჩევია, თუმცა, არ არის გამორიცხული, ეს იყოს გამოსხივების (სითბოს, სინათლის, რადიაციის...) სიმბოლო, რომელსაც ჩვენც იმაგენიარად ვხატავთ: ცენტრიდან გამოსული სამი ხაზი პერიფერიებისკენ ფართოვდება -



სამწუხაროდ, მესამე ნიშანიც ცუდად მოჩანს ქვაზე. თუ ეს ელიფსებია, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ეს სხვადასხვა ვარსკვლავთა სისტემებიდან შორსმავალ პლანეტების ელიფსური ორბიტები იყოს, რომლებიც პერიოდულად უახლოვდებიან ერთმანეთს, რითაც სარგებლობენ სამყაროში არსებული ცოცხალი არსებანი, ერთმანეთთან კომუნიკაციის დასამყარებლად. მიხდა აღვნიშნო შემდეგი: კოსმოსის თაობაზე ძველ ხელნაწერებში არსებულ ინფორმაციებში აღნიშნულია, რომ „არსებობს რამდენიმე სამყარო“ და რომ ამ სამყაროში მცხოვრები არსებები უკავშირდებიან ერთმანეთს. ასევე აღწერილია ის, რომ ეს არსებები არ არიან უკვდავები, მაგრამ ცხოვრობენ ხანგრძლივად, რამდენიმე ათას წელს. ასეთ შემთხვევაში დედამიწის სტუმრებისათვის, ჩვენი წარმოდგენით, ხანგრძლივი ექსპედიციები, არც თუ ისეთი ხანგრძლივი იქნებოდა. ყველაფერი შედარებითია... №52 სურათის ზედა მეოთხე სიმბოლო წააგავს ელექტრომაგნიტური ტალღის რხევებს -



პიქტოგრამებზე არსებული ყველა სიმბოლოს ზუსტი მნიშვნელობის დადგენა სამომავლო კვლევის საქმეა. თუმცა, ერთი რამ აშკარაა: ჩვენ წინაშე ვარსკვლავთაშორისო სიმბოლოებია. მზის სისტემა, პლანეტა დედამიწა, მისი ცივილიზაცია, კოსმოსში არსებულ სამყაროებს შორის არის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა, რის გამოც ზემოთ აღნიშნულ საკითხებში ჩვენ ახლა გვიხდება გათვითცნობიერება.

the figure of plate shape is drawn from above where by the means of inclined lines the object obtains the rotating appearance. On the both stones are depicts ten fingers... May be this number shows the coordinates of the star of the second expedition?..

Let's return again to Fig. 52. On the upper part of the spirals are carved four small images. On the first one two ellipses cross each other that is much like the crossing of elliptic trajectories of the long-distance planets drawn by us -



The second drawing can hardly be read, though we cannot exclude that this was the symbol of emanation (heat, light, radiation...) which we are drawing on the same way: three lines leaving the center are dilated to periphery -



Unfortunately, the third sign is also hardly seen on the stone. If those are ellipses we cannot exclude that it were the elliptic orbits of long-distance planets from the systems of various stars which periodically come close to each other whereby this phenomenon is used by the creatures existing in the space for establishment of contacts with each other. Noteworthy is that the data of the old manuscripts about the space mention existence of several worlds and the fact that the creature living in these world communicate with each other. They also describe that those creatures are not immortal but live for a long time, some thousand years. In such case, as we think, for the visitors to the Earth, the expeditions to our planet were not so long - everything is comparative.


On Fig. 52 the upper fourth symbol looks like the ruptures of a electromagnetic wave -



Establishment of exact meaning of all symbols of pictograms is the future problem. However, one thing is apparent: we face the interstar symbols. The Solar System, planet Earth, its civilization is one of the youngest in the space and only now we will try to become acquainted with the above mentioned questions.


ელექტრომაგნიტური ტალღები

Electromagnetic waves

უძველეს ქვებზე გვხვდება სიმბოლოები, რომლებიც ელექტრომაგნიტური ტალღის გავრცელების მსგავსია. გავისვენოთ საქართველოს ტელემაუწყებლობის პირველი წლები. გადაცემების დაწყებამდე ისმოდა მუსიკა, ხოლო ეკრანზე სატელევიზიო ანძა მოჩანდა, რომლის თავზეც ციმციმებდა წერტილი, საიდანაც გამოდიოდა წრეები – 

რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ანძა ასხივებდა ტალღებს თავის გარშემო ტერიტორიაზე. ე. ი. იწყებოდა სატელევიზიო მაუწყებლობა.

განვიხილოთ საქართველოში მდებარე ქვაზე დახატული სიმბოლოები. სურ.№54-ის ცენტრში მყოფი


On the ancient stones we meet with the symbols which look like propagation of the electromagnetic waves. If we recall the first years of the Georgian telecasting, the programs began with music, then the screen showed the TV tower on the top of which winkled a point which emanated circles like this - 

Such station break meant that the tower emanated waves round its territory and the telecasting started.

Let's view the symbols depicted on the stone found in Georgia (Fig. 54). The figure placed in the center evidently

looks like the symbol of propagation of electromagnetic waves -

. If we consider the figures on the sides -

 as the symbol of crossing, or meeting than the whole picture evidently shows the appeal for meeting via the radio waves.



Unfortunately, the next stone found in




სურ. (Fig.) 54



სურ. (Fig.) 55


ფიგურა აშკარად ჰგავს ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების სიმბოლოს -  გვერდებზე მყოფ ფიგურებს -  გადაკეთის, ანუ შეხვედრის მნიშვნელობას თუ მივანიჭებთ, მაშინ მთლიანად ნახატში აშკარად იკითხება მოწოდება რადიოტალღის მეშვეობით შეხვედრის თაობაზე.


სამწუხაროდ, ნაწილობრივ დაზიანებულია საქართველოში მდებარე შემდეგი ქვა, სურ.№55. დავახასიათოთ ნახატის ის ფრაგმენტები, რომლებიც გარჩევას ექვემდებარებიან. ცენტრში სტუმრების სიმბოლო - ხუთი თითია წარმოდგენილი.


მარცხნივ რადიოტალღების მსგავსი სიმბოლო მოჩანს. მარჯვენა დაბალ კუთხეში მცირე ზომის ნახატია, სამფეხზე მდგარი რაღაც კონსტრუქცია - 

და ბოლოს ყველაზე დიდი ფიგურა ცენტრშია დახატული -



დიდი ფიგურის მარჯვენა მხარეს შეიმჩნევა იმდაგვარი სიმბოლო, რომლის მეშვეობითაც დავატრიალეთ და გავეხსენით რამდენიმე ჩაკეცილი ნახაზი. აქ ეს პირობითი ნიშანი სხვა პიხიციაშია წარმოდგენილი - 

ორი უღვაში და მათ შორის მდებარე ღერო ძირითად ფიგურასთან შეტრიალებულადაა განლაგებული, ვიდრე ეს იყო ნაშრომის თავში განხილულ ნახაზებში. ამას გარდა ცენტრალურ ღეროს კვეთს ხაზი - 

ყველაფერ ამას ემატება ის, რომ ამ ჯვარედინა ხაზებს ქვევიდან თითქოს სამკუთხა ფორმის სარკე აქვს მიღებული, სადაც ჯვარედინა ხაზები ასახულია გადმობრუნებულად - 


ნაშრომის დასაწყისში მიღებული მცირე გამოცდილების მიხედვით, ნახაზის ძირითადი კორპუსი გადავატრიალე ცენტრალური ღერძის გარშემო, სურ.№56. ამის შედეგად მიღებული გაორმაგებული ფიგურა კიდევ ერთხელ გაორმაგდა ისე, თითქოს სარკე მიგედოთ იმ ადგილას, სადაც თავად მხატვარმა შემოგვთავაზა ჯვარედინა ხაზის სარკისებური ანარეკლი. მივიღეთ შემდეგი ფიგურა - სურ.№57. შევაერთოთ წარმოქმნილი ფიგურის ხა-


Georgia is partially damaged (Fig. 55). Let's describe those fragments of the picture which can be deciphered. In the center we see the symbol of the visitors - five fingers. To the left we see the symbol looking like radio waves. In the right lower corner is a small picture - a structure on three legs -



and finally we see the biggest figure in the center -



To the right from the large figure is a similar symbol by means of which we have turned and disclosed some folded drawings. Here this conventional mark is represented in another position - 

Two feelers and a rod between them is turned to the main figure as it was in the drawings discussed in the beginning of our work. In addition the central rod is crossed by a line - 

Besides, these crosswise lines have a kind of mirror of triangle shape from below where the crosswise lines are reflected as an inversed image -




Based on our small experience gained in the beginning of the work, we have turned the main frame of the picture round the central rod (Fig. 56). The figure obtained was doubled in such




სურ. (Fig.) 56


ზები გადაკვეთამდე – სურ. №58. მიღებული ნახაზის საერთო ფორმა – კონტური იდენტურია ქვის მარჯვენა დაბალ კუთხეში სამფეხაზე მდგარი კონსტრუქციისა, რაც, ჩემი აზრით, იმის ნიშანია, რომ გადატრიალებები, ანუ ნახაზის გაშლა, სწორად შესრულდა. ვფიქრობ, ქვის მარჯვენა დაბალ კუთხეში დატანილია მისაღები ნახაზის საერთო ხედი და ეს გაკეთდა იმისთვის, რომ შესრულებული მოქმედების – ნახაზის გაშლის – შედეგები ამით კიდევ ერთხელ შეგვემოწმებინა. ორივე ნახაზი



სურ. (Fig.) 57



სურ. (Fig.) 58



სურ. (Fig.) 59


მნიშვნელოვანია. პატარა იდლევა კონსტრუქციის საერთო ფორმის ძირითად კონტურს, დიდი ნახატი კი – საშუალებას, დავინახოთ ის, რაც არ ჩანს პატარაში, კერძოდ, თუ რომელ უჯრედში რა სახითაა გადამკვეთი ხაზები მოცემული. შევავსოთ გადამკვეთი ხაზებით კონსტრუქციის მთელი სივრცე. სურ. №59. ჩვენ მივიღეთ თანამედროვე რადარების მსგავსი კონსტრუქცია...

საქართველოში მდებარე ერთ-ერთი ქვის ნახაზიდან (სურ. №60) ავაწყვე ანტენა, სურ. №61. სახლის სახურავზე (ქ. თბილისი, დოლიძის ქუჩა) დამონტაჟებულმა ანტენამ აშკარად გამოავლინა მიმდების თვისებები, დაიჭირა ყველა სატელევიზიო არხი, რის ტრანსლირებასაც ახდენს ჩვენი ანტენა.

a way as if the mirror was attached to that place where the author of the picture himself had proposed to us the reflected image of the crosswise lines. As a result we have obtained the following figure (Fig. 57). Let's connect the lines of the obtained figure to the crossing (Fig. 58). The common shape of the obtained drawing – the contour is identical to the structure installed on three legs in the right lower corner of the stone. In my opinion it means that the inversions, or disclosure of the drawing, was made correctly. I think that in the right lower corner of the stone was pictured the general view of the obtained drawing and it was made in order to check once more the results



სურ. (Fig.) 60



of the performed action – the exposure of the drawing. Both drawings are important. The small one provides the main outline of the general shape of the structure and the large one – the possibility to see what we could not see in the small drawing, namely, in what cell are given the crossing lines and what kind of lines are they. Let's fill in the whole space of the structure with the crossing lines (Fig. 59) and we obtain a structure which looks like a modern radar...

On the basis of the drawings given on the stone found in Georgia (Fig. 60) I succeeded to adjust an antenna (Fig. 61) and installed it on the roof of a house in Tbilisi (at Dolidze Street). This an-

სურ. 61

A წერტილში მაგრდება სატელევიზიო კაბელის შიდა ლერო.

B წერტილში მაგრდება კაბელის გარე მავთული

Fig. 61 At point A is fixed the inner axis of the TV cable. In point B is fixed the outer wire of the cable

გამოსახულება – უმაღლესი. ანტენას არ სჭირდება არხების შეცვლის პარალელურად პოზიციების ცვლა. იგი მუშაობს ყოველგვარი გამაძლიერებლის გარეშე. როგორც ცნობილია, სატელევიზიო ანტენების აწყობისას ცდილობენ ისეთი კონსტრუქციის შექმნას, რომელიც მაქსიმალურად მეტ არხს დაიჭერს. და მაინც, ყველაზე კარგად ანტენა იჭერს რომელიმე ერთ-ერთ სიხშირის ტალღას, შესაბამისად, ამ სიხშირეზე მყოფი სატელევიზიო არხის გამოსახულება უნდა იყოს, სხვებთან შედარებით, უკეთესი. ჩემ მიერ აწყობილმა ანტენამ დოლიძის ქუჩაზე არ მომცა ამ ანტენისთვის „იდუალური არხის“ გამოვლენის საშუალება, რადგან ყველა არხი კარგად აჩვენა. ამის გამო ქალაქის პერიფერიაში გადავინაცვლე. შესაბამისად, ზოგიერთი არხის ჩვენების ხარისხმა დაიკლო, რასაც ვერ ვიტყვი „ალანიის“ არხზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის ანტენა აწყობილია ყველაზე ახლოს იმ სიხშირესთან, რომელსაც „ალანიის“ არხი ასხივებს სივრცეში.

კავშირგაბმულობა ძალიან რთული სისტემაა. ამ რთული სისტემის – ჯაჭვის რომელ რგოლს წარმოადგენს აქ განხილული რადარები თუ ანტენები? მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ანტენის ნახაზი სხვადასხვა სატელევიზიო არხის საყურებლად დაეტოვებინათ მათ...

სად უნდა შეერთდეს?... რა უნდა მივიღოთ ამ ანტენებით თუ რადარებით?...

იყენებდნენ ამ ანტენას სტუმრები ერთმანეთთან კავშირისას მოკლე თუ გრძელ მანძილებზე?... რა იყო მათი ჩანაფიქრი?...

P.S. მესამოცე სურათზე მოცემულ ნახაზში, ცენტრალური ღერძი არ არის სწორი, შესაბამისად ნახაზის მარჯვენა და მარცხენა მხარეები არ არიან ერთმანეთის სიმეტრიულები. შესაძლოა ეს შეგნებულად გაკეთდა, იმისთვის რომ ჩვენ არ დაგვეტრიალებინა ხაზები, არამედ აღგვექვა ამ ფიგურის საბოლოო ფორმა ისეთად როგორსაც ვხედავთ.

tenna has shown the receiving ability, has received all TV channels transmitted in Tbilisi with the high-quality image. The antenna does not need change of positions parallel with change of the channels. It operates without any amplifier. As it is known when adjusting TV antennas they are trying to create such a design which will receive maximum channels. However, best of all the antenna receives the wave of one frequency and accordingly the image of the TV channel on this frequency shall be better than other. The antenna adjusted by us at Dolidze street did not provide us with the possibility of reveal the ideal channel for this antenna as all channels had good image. Then I went to the city suburbs. Consequently, the quality of demonstration of some channels deteriorated but not of channel “Alania”. It may be said that this type of antenna is adjusted more closely to the frequency of “Alania” channel.

Communication is a very complex system. What part of this complex system is represented by the radars and antennas discussed above? I dare to say that the drawing of antenna was left by the visitors for receiving of various TV channels...

Where should be they connected?... What image should we receive via these antennas and radars?...

Whether the visitors used these antennas for communication with each other at short and long distances?... What was their idea of this?...

P.S. On Fig.60 the central axis is not straight, therefore the right and left sides of the drawing are not symmetrical. We can assume that it was done in order not to let us to rotate the lines but to perceive the figure in a way we see it now.

კოსმოსში მგზავრობის რუკა

Space Travel Map

გთავაზობთ „სტუმრების“ მიერ განვლილი გზის (დედამიწა – მათი პლანეტა) ფურცელზე გადატანას. ნახაზის შედგენისას გამოვიყენოთ ის სიმბოლური ნიშნები, რომლებიც გაიშიფრა ნაშრომის წინა თავებში.

დავხაზოთ კოსმოსში მყოფი საფრენი ხომალდი და დედამიწიდან ხომალდის აფრენის ტრაექტორია, ანუ მცირე სპირალი, რომლითაც დაიძლევა დედამიწის გრავიტაცია. ქვეზე არსებული ინფორმაციების მიხედვით, დედამიწას ერთდროულად 2 ექსპედიცია სტუმრობდა. ამიტომ დავხაზოთ პლანეტიდან გასვლის 2 მონახაზი. – სურ. №62

განვიხილოთ ნასკას უდაბნოს სპირალური ფიგურა, რომელიც გაშლილ კუთხეშია ჩახაზული –



ნაშრომის ქვედა თავში დაწვრილებით მაქვს ახსნილი, რომ გაშლილი კუთხე წარმოადგენს პერსპექტივაში დანახულ გზის ნიშანს, ანუ ნიშანი მიგვითითებს იმას, რომ სპირალური სიღრმისეულად, პერსპექტივაში უნდა წარმოვიდგინოთ. მოდით, ჩვენს ნახაზს შევმატოთ შემდეგი ფიგურები:

1. იმ შორეული გზის ნიშანი –



რომელიც უნდა გაიარონ „სტუმრებმა“ შინ დასაბრუნებლად.

2. ვინაიდან გასავლელი გზა „სტუმრებმა“ სპირალური ტრაექტორიით უნდა დაფარონ, ამიტომ გზის ნიშნის გარშემო თავად სპირალური დაგზავნით, სურ. № 63

Now let's look through the trip passed by the visitor (Earth- their planet). When making the drawing of it we used those symbols which were deciphered in previous chapters.

Let's draw a spacecraft in the space and the trajectory of taking off the Earth by spacecraft, or that small spiral by which the gravity will be overcome. According to the information shown on the stones the Earth was simultaneously visited by two expeditions. So we will make 2 drawings of trip from the planet (Fig. 62).

სურ. (Fig.) 62

Let's view the spiral figure in the open angle depicted in the Naska desert -



Below you will find the detailed description that the open angle represents the sign of a way seen in prospect, or the sign shows that the spiral shall be imagined in prospect. Let's add the following figures to our drawing:

1. The sign of that distant route -




which should be passed by the visitors on their way home.


2. As the visitors shall pass the way by spiral trajectory let's draw the


spiral round the sign of route (Fig. 63).

On the following figure we will draw the 10th planet itself -



სურ. (Fig.) 63



შემდეგ სურათზე დავხატოთ თავად მე-10 პლანეტა -  სწორედ მის ორბიტაზე გასვლის შემდეგად იხაზება ის დიდი სპირალური ტრაექტორია, რომელიც ჩვენ უკვე გვაქვს ნახაზზე. ნაშრომის წინა ნაწილში გაირკვა, რომ მე-10 პლანეტის ელიფსური ტრაექტორია ვერ აღწევს მე-5 ვარსკვლავამდე. მე-10 პლანეტის ტრაექტორია გზის რომელიმე მონაკვეთში მე-5 ვარსკვლავის შორსმავალი პლანეტის ტრაექტორიას კვეთს. სწორედ ამ ადგილას ხდება ერთი პლანეტის ორბიტიდან მეორე პლანეტაზე გადასვლა და მგზავრობის გაგრძელება. ე.ი. „სტუმართა“ გზა მე-10 პლანეტის ელიფსური ტრაექტორიის ერთ-ერთ წერტილში იტოტება. მოდიოთ, დავხაზოთ მე-10 პლანეტის ელიფსური ტრაექტორია. როგორც ვიცით, ელიფსს ორი უკიდურესი წერტილი აქვს. მე-10 პლანეტა ჩვენს მზის სისტემაში შემოდის თავისი ტრაექტორიის უკიდურეს მონაკვეთში, ამიტომ პლანეტის ფიგურა ელიფსის ჩვენთან ახლოს მყოფ უკიდურეს მონაკვეთზე მოვათავსოთ. ელიფსი, როგორც აღვნიშნეთ, უნდა დაიტოვოს, თანაც-ორად, ვინაიდან საუბარი დედამიწიდან უკან მიბრუნებულ ორ ექსპედიციაზეა, რომლებიც სხვადასხვა ვარსკვლავისკენ გაემართნენ -





დიდ ნახაზში შევიტანო ელიფსის ის მონაკვეთი (უწყვეტი ხაზი), რომლითაც ისარგებლეს სტუმრებმა ჩვენგან თავისი პლანეტისკენ მგზავრობისას. ამასთან, გზის განშტოების უკიდურესი წერტილი დავამთხვიოთ სტუმართა გასავლელი გზის სიმბოლოს უკიდურეს წერტილს, მივიღებთ სურ. №64.

Just after transfer to its orbit is outlined that large spiral trajectory which we have already drawn. Above we have already mentioned that the elliptic trajectory of the 10th planet does not achieve to the 5th star. The trajectory of the 10th planet crosses the trajectory of the long-distance planet of the 5th star in some section. Just at this place the spacecraft transfers from the orbit of one planet to the orbit of another planet and continues its trip, i.e. the visitor's trip branches from the elliptic trajectory of the 10th planet at one point. Let's outline the trajectory of the 10th planet. As we know the ellipse has two ends. The 10th planet enters our Solar System in the end section of its trajectory, so we will place the figure of planet on the end of the ellipse, which is the closest section to us. As we have mentioned the ellipse shall be branched in two as we assume two expeditions returned from the Earth, which then continue their trip to different stars -




Let's put in the big drawing that section of the ellipse (the continuous line) which was used by the visitors when traveling from the Earth to their native planet. At the same time, we will coincide the extreme point of the route branch to the extreme point of the symbol of the visitors' route (Fig. 64).

Let's continue to fill in the picture and enter in it the final stage of the expedition trip. Let's draw at the end of the trip: their planet - , their space-






სურ. (Fig.) 64



სურ. (Fig.) 65





სურ. (Fig.) 66
საქართველო
(თუშეთი, ხევსურეთი)
Georgia (Tusheti, Khevsureti)

გავაგრძელოთ სურათის შევსება, მასში შევიტანოთ ექსპედიციის მგზავრობის ბოლო, ფინალური ეტაპი, გზის ბოლოს ჩავხატოთ მათი პლანეტა –  მათი ხომალდი, შედარებით მცირე ზომის, ვიდრე იგი გვქონდა დახატული გზის დასაწყისში –  ხომალდის ტრაექტორია, რომლითაც ისინი დაეშვებიან თავის მშობლიურ პლანეტაზე – 

მივიღებთ №65 სურათს.

